

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 აპრილის N1 გადაწყვეტილებით
(სხდომის ოქმი N1 – 20.04.2013)
შეთანხმებულია
თჰუ დამფუძნებელთა (პარტნიორთა) კრებასთან

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის


სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა

(2013-2018)

თბილისი

2013

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა



მისია

კერძო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (სასწავლო უნივერსიტეტს), რომელიც ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლით და “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ამ მისიის საფუძველზე და ფარგლებში.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის საფუძველზე მის მიერ დამოუკიდებლად მიღებული მისიის შესაბამისად.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შექმნილი უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ან მასთან გათანაბრებული, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციით, ასევე რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების სწრაფად ცვალებადი საზოგადოებრივი დაინტერესების შესაბამისად რეგულარული გადახედვითა და მოდიფიცირებით:

– დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს და მისცეს სათანადო ხარისხისა და ხელმისაწვდომი უმაღლესი და პროფესიული განათლება;

– წვლილი შეიტანოს პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში, მისი შემოქმედებითი და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, უზრუნველყოს სტუდენტში/პროფესიულ სტუდენტში უმაღლესი ან პროფესიული განათლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირება და მის მიერ თანამედროვე ცოდნის შეძენა;

– უზრუნველყოს საქართველოს შიდაეროვნული შრომის ბაზარი, დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, ხოლო კურსდამთავრებულები ამავე ბაზარზე – პროფესიული კონკურენტუნარიანობით;

– თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს სწავლებისა და სწავლის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფაში, სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარება–დანერგვასა და დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების სრულყოფაში.

ღირებულებები:

- აკადემიური და შემოქმედებითი თავისუფლება;
- საზოგადოებაზე ორიენტირებულობა, რაც გულისხმობს სტუდენტებისა და ადამიანური რესურსების ერთობლივ ძალისხმევას;
- მოქალაქეობრიობა: ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პასუხისმგებლობა;
- თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და ურთიერთპატივისცემა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის;
- დასაქმებაზე ორიენტაცია: შრომის ბაზრის და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- გუნდური მუშაობა;
- სამართლიანობა და კანონიერება;
- გამოცდილებაზე ორიენტაცია.

მისიიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი მთავარ აქცენტებს აკეთებს:

- პიროვნული პოტენციალის რეალიზებაზე;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღებაზე;
- თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადებაზე;
- შიდაეროვნული შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე;
- დაინტერესებული პირებისათვის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა და საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი ხარისხისა და ხელმისაწვდომი უმაღლესი და პროფესიული განათლების შეთავაზებაზე.

უნივერსიტეტის ისტორია და დღევანდელი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებამ ფუნქციონირება დაიწყო 1992 წელს, როდესაც "საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულების საფუძველზე" საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ გასცა ლიცენზია საგანმანათლებლო საქმიანობაზე. უნივერსიტეტს მიეცა უფლება, რომ კადრები მოემზადებინა შემდეგ სპეციალობებში: ისტორია, სამუზეუმო საქმე და ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვა, ჟურნალისტიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, სამართლისმცოდნეობა, უცხო ენები და ხელოვნებათმცოდნეობა. 2002 წლიდან დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იმავე სახელწოდებით და უნივერსიტეტის სტატუსით, რის შემდეგაც საქართველოს განათლების სამინისტრომ თჰუ-ს მისცა უმაღლესი პროფესიული განათლების წარმოების უფლება შემდეგი სპეციალობებით: ფინანსები და კრედიტი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი. 2002–2010 წლებში თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა მოგვიანებით საქართველოს კანონმდებლობაში უნივერსიტეტების სტატუსთან დაკავშირებით შეტანილი საკანონმდებლო ნოვაციების შესაბამისად, უნივერსიტეტმა დააზუსტა თავისი სტატუსი, გახდა სასწავლო უნივერსიტეტი და მთავარ მიზანდ დაისახა საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანი რეალიზაცია. სადოქტორო საფეხურზე უარის თქმამ, საშუალება მისცა უნივერსიტეტს აქცენტები გაეკეთებინა შრომის ბაზარზე უფრო მოთხოვნად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მიმდინარე ეტაპზე, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს მისთვის ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2008 წლის 3 დეკემბრის N36/ს გადაწყვეტილებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N131 გადაწყვეტილების შესაბამისად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მისი დაარსებიდან დღემდე სამართლის ფაკულტეტი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ხოლო 2009 წლიდან ჯანდაცვის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის რესურსები

ობიექტური მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევაფასოთ უნივერსიტეტი როგორც დინამიკურად განვითარებადი, კონკურენტუნარიანი უნივერსიტეტი, სწავლების სრული ციკლის, მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე სასწავლო კომპლექსი, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს და თავისი ინტელექტუალური პოტენციალისა და საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაზრისით მყარი პოზიციები უკავია კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში.

ამჟამად, უნივერსიტეტში სწავლობს 496 სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი. ყველა მოქმედი პროგრამის განხორციელება ხდება ფაკულტეტებზე დასაქმებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ. უნივერსიტეტს ემსახურება 40 სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი, 60-მდე მოწვეული უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში: სტუდენტურ თვითმმართველობაში, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში. რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტს საკუთრებაში გააჩნია ორფლიგელიანი შენობა-ნაგებობა, რომელიც აგებულია სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე საუნივერსიტეტო ეზო და რეკრეაციული ზონა. უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, საკონფერენციო დარბაზით ვიდეო-კონფერენციის საშუალებებით, ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი და ციფრული ფონდით, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა OPEN BIBLIO-თი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

ჯანდაცვის ფაკულტეტზე არსებობს სტომატოლოგიური კლინიკა და მისი მიზანია – სტუდენტის მიერ პროფესიული და პრაქტიკული კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება და აკადემიურ გარემოში შექმნილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) იმიტირებულ სიტუაციაში გამოცდა, რის შედეგად ხდება სტუდენტის მზაობის შემოწმება თანამედროვე კლინიკური მოთხოვნების პირობებში; კლინიკა უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი და კბილის ტექნიკოსის სამივე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პროფესიული სასწავლო პრაქტიკის კურსის სასწავლო კომპონენტის სტუდენტების მიერ რეალიზაციას. სტომატოლოგიური კლინიკა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, სტუდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აკადემიურ გარემოში შექმნილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) რეალურ ან/და იმიტირებულ ცხოვრებაში გამოცდას. არჩეული სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას და მის გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და სტომატოლოგიური დანადგარებით, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვითარებას, კერძოდ, კლინიკას გააჩნია: ორი თანამედროვე ბორმანქანა, სკალერი, რენტგენის აპარატი, სტერილიზაციის აპარატი; გააჩნია ყველა საჭირო სტომატოლოგიური ინსტრუმენტები (მსხვილი სტომატოლოგიური ინსტრუმენტარიუმი, მცირე სტომატოლოგიური ინსტრუმენტარიუმი), უახლესი პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება კბილების დაბჟენისა და მკურანლობისთვის, ასევე ორთოპედიული სტომატოლოგიის მასალები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს იურიდიული კლინიკა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალის საბაკალავრო აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კლინიკურ სწავლებასა და პროფესიული პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციას. კლინიკა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, სტუდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) რეალურ ან/და იმიტორებულ ცხოვრებაში გამოცდას. არჩეული სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას და მის გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; სტუდენტის მზაობის შემოწმებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში.

Swot ანალიზი

თჰუ-ს პერსპექტიული განვითარების ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიყოს უნივერსიტეტის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები:

ძლიერი და სუსტი მხარეები:

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<p>1) 3646 კვ.მ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მასზე განთავსებული ორი სასწავლო კორპუსით, სპორტული მოედნითა და კეთილმოწყობილი ეზოთი, რეკრეაციული სექტორით;</p> <p>უნივერსიტეტში არსებობს სამართლის, ჯანდაცვის, ბიზნესის ადმინისტრირების და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროფილის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, მათი წარმატებით განხორციელების, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების გამოყენებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ჩამოყალიბებული სისტემა;</p> <p>2) არსებობს მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი პროფესორ-მასწავლებელთა სახით;</p> <p>3) ავტორიზაცია/აკრედიტაცია;</p> <p>4) უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტომატოლოგიური და იურიდიული კლინიკები, კომპიუტერული ცენტრი, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს გაიღრმავონ აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარების შემუშავების გზით.</p> <p>5) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები</p>	<p>1) სუსტი ურთიერთობა საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან;</p> <p>2) თანამედროვე პერიოდული გამოცემების (ჟურნალების) და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობა.</p>

- 6) ბიბლიოთეკა, მდიდარი ელექტრონული, წიგნადი და ციფრული ფონდით და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით); ინტეგრირებული ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელი (OPEN BIBLIO); საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.
- 7) ECTS-თან და ბოლონიის პროცესთან შესაბამისობა;
- 8) სწავლის შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- 9) მობილობის პროცესის შედარებით ნორმალური მაჩვენებელი;
- 10) კეთილმოწყობილი და ხელსაყრელი გარემო;
- 11) სწავლების ენა-ქართული/რუსული, რაც ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას (ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 30-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი)

შესაძლებლობები და საფრთხეები:

შესაძლებლობები:	საფრთხეები:
<p>1) საგანმანათლებლო მომსახურების ფართო სპექტრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;</p> <p>2) მაღალი სტანდარტების კადრების მომზადება;</p> <p>3) უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის;</p> <p>4) საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება;</p> <p>5) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგრძნობი გაუმჯობესება;</p> <p>6) დამფუძნებელთა მზაობა წინადადებების მისაღებად ცვლილებებთან დაკავშირებით;</p> <p>7) მისაღები კონტიგენტის გაზრდის შესაძლებლობა.</p>	<p>1) საკადრო პოტენციალის სტიმულირების ეფექტური მექანიზმების არქონა;</p> <p>3) სუსტი კავშირი შრომის ბაზართან.</p>

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიზნები 2013-2018 წლებში და სამოქმედო გეგმა

1. 2012-2013 სასწავლო წლის ბოლომდე ავტორიზაცია/აკრედიტაციის ახალი ვადით მიღება. ამ პროცესებთან დაკავშირებით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიების კეთილმოწყობა და სასწავლო ინვენტარის განახლება და აღჭურვა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად; ინტერაქტიური აუდიტორიების ორგანიზება, საკონფერენციო დარბაზის აღჭურვა ვიდეო კონფერენციის სისტემით, კომპიუტერული კლასის გაფართოება, სტომატოლოგიური და იურიდიული კლინიკის აღჭურვა თანამედროვე დანადგარებითა და სასწავლო ინვენტარით, საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, საბიბლიოთეკო ფონდის (წიგნადი, ციფრული) განახლება/შევსება უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურით, პერიოდიკით.

2. 2013-2014 სასწავლო წლიდან სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე არსებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სამართლის კლინიკური სწავლების ახალი მოდელის რეალიზება (კლინიკური განათლების სფეროში საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმება და კონტაქტების დამყარება/გაძლიერება).

3. 2013 წელს კვალიფიციურ და გამოცდილ პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსის მოზიდვის მიზნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ახალი კონკურსის გამოცხადება, აკადემიური კონკურსის კრიტერიუმების მაჩვენებლების დახვეწა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას: სასწავლო კურსების შესაბამისი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, პუბლიკაციები და პროფესიული გამოცდილება.

4. 2013 წლიდან სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების

საინფორმაციო სერვისის წვდომის გაუმჯობესება და ამ მიზნით სტუდენტური ელექტრონული აკადემიური ბარათების და პერსონალური ვებ-გვერდის შექმნა და პროგრამული უზრუნველყოფა.

5. 2013 წლიდან ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ მე-3 საფეხურის დამატება/ამოქმედება და შემდგომ წლებში (2014-2015) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. 2013 წელს საერთაშორისო მემორანდუმების გაფორმება ევროპის უნივერსიტეტებთან (ლიტვის შიაულაის და ვარშავის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებთან) და 2013-2018 წლის განმავლობაში აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ასპექტის გაძლიერების კუთხით საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება, განვითარება და ურთიერთთანაშრომლობის ახალი ფორმების დანერგვა, მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან (რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანის რესპუბლიკა) კონტაქტების დამყარება;

7. 2015 წლიდან სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების და იურიდიული განყოფილებების შექმნა.

8. 2014-2015 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ფორმირება.

9. 2015-2016 წწ. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მათი სწავლისა და სწავლების სისტემის განვითარება და ამ კონტიგენტის მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მცირე კამპუსის ტიპის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება – 20-30 ადგილიანი მცირე ზომის სასტუმროს მშენებლობა–ამოქმედება და სხვ.;

10. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, კეთილმოწყობა და გაფართოება, რაც გულისხმობს შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებას:

- 2013 წლიდან კვების ობიექტის (სასიდილო/კაფე) მშენებლობა/ამოქმედება;
- 2013 წლიდან უნივერსიტეტის ეზოს კეთილმოწყობა, გამწვანება;
- 2014 წლიდან უნივერსიტეტის სტუდენტთა და მომუშავე პერსონალთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით ელექტრონული საშვთა სისტემის დამონტაჟება.

11. 2014-2018 წწ. ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამატება (სამართლის ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტზე მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და სხვ.).

12. 2013-2018 წწ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების ღონისძიებების გაძლიერება; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებლებთან ურთიერთობების ფორმირება და განვითარება;

13. 2013-2018 წწ. უნივერსიტეტის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგის პროცედურების დახვეწის გზით;

14. 2013-2018 წწ. სტუდენტების სოციალური დაცვის გაძლიერება და უზრუნველყოფა.

15. თჰუ–ს სტრატეგიული მართვის განხორციელება;

16. 2013-2018 წწ. სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების ცოდნის ხარისხის ამაღლება და აკადემიური მოსწრების ზრდა; შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების საფუძველზე უარყოფითი მოსწრების სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის პროცენტული კლებაზე ზრუნვა;

17. 2013–2018 წწ. უნივერსიტეტის მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდა;

18. 2013-2018 წწ. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა;

19. უნივერსიტეტის საკუთარი "საგანმანათლებლო ბრენდის" ფორმირება და დამკვიდრება.

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება (იხ. დანართები ფაკულტეტების მიხედვით)

სტრატეგიული სამოქმედო გეგმა არის უნივერსიტეტის განაცხადი იმის შესახებ, რისი მიღწევაც იგეგმება უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში.

მასშტაბი - სტუდენტთა კონტინგენტის თვალსაზრისით მიზანშეწონილია სწავლების ყველა საფეხურზე რაოდენობა გაიზარდოს.

საქმიანობა - უნივერსიტეტის ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

დასკვნა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წინაშე ყველა კარი ღიაა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით არჩეული სპეციალობებით (სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, დიპლომირებული სტომატოლოგია, ევროპეისტიკა, სლავური ფილოლოგია) მუშაობას მოაქვს დიდი მორალური დაკმაყოფილება, სტაბილური შემოსავალი, კარიერული ზრდის შესაძლებლობა, საზოგადოებაში მაღალი სტატუსი. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად უახლოესი პერიოდის განმავლობაში მიგვაჩნია მთელი ინტელექტუალური, აკადემიური თუ სამეცნიერო წრეების, სტუდენტების, ფაკულტეტების თითოეული წევრის ძალისხმევის წარმართვა იქეთკენ, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით გაიაროს ავტორიზაცია და აკრედიტაცია ახალი ვადით, რაც იქნება ჩვენს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგიანობის დასტური, შეგვძენს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენას, აამაღლებს ჩვენს რეიტინგს საგანმანათლებლო ბაზარზე და რაც მთავარია, გახდება ჩვენი მომავალი წარმატებული საქმიანობის საწინდარი.